პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი 14.08.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ქიტიაშვილი - გაეროს განვითარების პროგრამის მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ანასტასია ქიტიაშვილი - სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი.
ლელა მაისურაძე - პროფესიული განათლების დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ნანა ყუფუნია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში, ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტი;
ვახტანგ ჭარაია - ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარატმენტის უფროსი;
ნინო ჩიქოვანი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ელისო ბარბაქაძე -პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრეტიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია"
მამია ჯანჯალია - დირექტორი

ა(ა)იპ კოლეჯი „ ჰორიზონტი"
ნანა ჯოლია - დირექტორი

თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“
თეანა ქუხილავა - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“კონსტანტინე დოლიძე - დირექტორინაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერითეო ხატიაშვილი - ფინანსური მენეჯერი

შპს კეონი აკადემია
თამარ მერაბიშვილი - დირექტორი
ია გიგიბერია - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

შპს ინტერბიზნესის აკადემია
ინგა მანაშერიძე - დირექტორი
ნაზო წიბლიაშვილი - ხარისხის მენეჯერი

სსიპ პროფესიულ კოლეჯი „თეთნულდი“
ნანული ხვისტანი - დირექტორის მოადგილე
თეონა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ეკა ლუაშვილი
დიანა გახარია
ირმა ღარიბაშილი
ია გიგიბერია
ლევან მადათოვი
ნინო ხაჩიძე
ინგა ბაქრაძე
ქეთევან ჯანელიძე
ქეთევან გელაშვილი
თეა მაისურაძე
ირინე ფხაკაძე
თამარ ნასყიდაშვილი
თამარ რემიშვილი
მარინე გვრიტიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის N14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ კოლეჯი „ ჰორიზონტის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ კოლეჯი „ლაკადას" ავტორიზაციის საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ კოლეჯი „ პრესტიჟის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა
5. შპს კეონი აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
6. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვის", ინფორმაციის ტექნოლოგიის" და „ფარმაცია (სააფთიაქოს)" საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.
7. სსიპ კოლეჯი „ თეთნულდის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის დაწყებისას საბჭოს მდივანი ლელა მაისურაძე სხდომას არ ესწრებოდა, საბჭომ თავმჯდომარემ სხდომის ოქმის წარმოება დაავალა ნანა ყუფუნიას.

1. **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის N14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ კოლეჯმა „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია" 2019 წლის 2 აგვისტოს (წერილის ცენტრში რეგისტრაციის № 1012486) მომართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის, საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის, სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი), ვებ ინტერფეისის დეველოპერის, ვებ ინტერფეისის დიზაინერის

საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შემცირების თაობაზე. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის N14 გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შემდეგნაირად იყო განსაზღვრული:

- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი - 112 სტუდენტი;
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი - 84 სტუდენტი;
- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) – 84 სტუდენტი;
- ვებ ინტერფეისის დეველოპერი - 112 სტუდენტი;
- ვებ ინტერფეისის დიზაინერი - 112 სტუდენტი;

დაწესებულების თხოვნაა, ამ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი - 84 სტუდენტი;
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი - 62 სტუდენტი;
- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) – 11 სტუდენტი;
- ვებ ინტერფეისის დეველოპერი - 102 სტუდენტი;
- ვებ ინტერფეისის დიზაინერი - 96 სტუდენტი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუამდგომლობს დაწესებულებას საბჭოს წინაშე აღნიშნული ცვლილებების და აქედან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების საერთო ზღვრული რაოდენობის ცვლილების თაობაზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2019 წლის 10 აპრილს დამტკიცდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი და შეიცვალა კვალიფიკაციის კოდები. კერძოდ, ინფორმაციის ტექნოლოგიის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის კოდი უნდა მიეთითოს ოთხნიშნა ციფრით სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, რატომ ამცირებს კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, რაზეც დაწესებულების დირექტორმა მამია ჯანჯალიამ უპასუხა, რომ ამ პროგრამების შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტები უკვე გაუქმდა ან გაუქმდება 2019 წლის 31 დეკემბრიდან, პროგრამები კოლეჯში მიმდინარეობს მილევად რეჟიმში, ამავე დროს, დაწესებულება იმატებს ვებტექნოლოგიების ახალ ოპტიმიზირებულ პროგრამას, ამდენად, დაწესებულებას სჭირდება დამატებითი მატერიალური რესურსი/გარემო. დაწესებულება ვებდეველოპერს და ვებდიზაინერს ახორციელებდა, მაგრამ ახალი ოპტიმიზირებული ვებტექნოლოგიების პროგრამა უკეთეს შედეგებზე გაიყვანს სტუდენტს და ამიტომ კოლეჯმა გადაწყვიტა ამ პროგრამის დამატება. ამდენად, არსებულ პროგრამებზე ზღვრული რაოდენობის შემცირებით, გამოთავისუფლდა მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებს ახალი მოდულური პროგრამების დასამატებლად.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერსდა, სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი) პროგრამაზე ასე მკვეთრად რატომ შეამცირეს რაოდენობა.

ჯანჯალიამ განმარტა, რომ ეს ჩარჩო დოკუმენტი უკვე გაუქმდა და მხოლოდ მილევად რეჟიმში ახორციელებენ პროგრამას, თუმცა მოკლევადიანი პროგრამის განხორციელება სურთ. ის პროგრამა გრძელვადიანი იყო, ვფიქრობთ მოკლევადიანს მეტი ეფექტი ექნება, აღნიშნა კოლეჯის დირექტორმა.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, დასაქმების მაჩვენებლები როგორია ამ პროგრამებზე, რაზეც მიიღო პასუხი, რომ მოქმედი სტუდენტებიც კი ყველა დასაქმებულია.

აქვე, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ წესდების შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, ცვლილება შევიდეს „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის N14 გადაწყვეტილების“ სათაურშიც და პირველ და მეორე პუნქტებში.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის N14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი .

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის N14 გადაწყვეტილებაში. კერძოდ,

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205339944) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/ კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 621- ით.

გ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელებლის მისამართი / მისამართები
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1)	მესამე საფეხური	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	66	81	ქართული	102	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
2	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი (1)	მესამე საფეხური	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040163	70	85	ქართული	62	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
3	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	112	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
4	ვებ ინტერფეისის დიზაინერი (1)	მესამე საფეხური	ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166	63	78	ქართული	96	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა
5	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (1)	მეოთხე საფეხური	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	127	157	ქართული	11	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა

6	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1)	მეხუთე საფეხური	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161	121	151	ქართული	84	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. (ყოფ. ბუდაპეშტის ქ.) №1ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.

2. ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს, კოლეჯის დირექტორს, ნანა ჯოლიას მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. მან დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლუაშვილმა. ეკა ლუაშვილმა საბჭოს გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 ივლისის N 561 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 17-19 ივლისს. ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასების შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა. ავტორიზაციის ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. ექსპერტთა მიერ რეკომენდაციაც არ იქნა გაცემული. ამასთანავე, ექსპერტებს, 3.3. ქვესტანდარტის შეფასებისას, შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით ჰქონდათ ტექნიკური ხასიათის რჩევები, რომელიც კონკრეტულადაა აღწერილი შესაბამისი ქვესტანდარტის განხილვისას. მისი ტექნიკური შინაარსიდან გამომდინარე რეკომენდაციის სტატუსით არ იქნა განსაზღვრული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის მიერ მოდულური პროგრამების დამატების მიზნით

განხორციელებული შეფასებისას, ექსპერტთა წინა ჯგუფის მიერ განსაზღვრული, როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები შესრულებულია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება, რომელიც განთავსებულია ქალაქ ოზურგეთში, რუსთაველის ქ. №8-ში. არის სახელმწიფო ა(ა)იპ, მას სახელმწიფოსგან ხელშეკრულებით აქვს მიწა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა გადაცემული, ვიზიტის პერიოდისთვის ხელშეკრულება ძალაში იყო, თუმცა გასდის ვადა მიმდინარე წლის აგვისტოში.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შუამდგომლობის თაობაზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაციის შესაბამისად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საქართველოს „ელექტრონული მთავრობის" პროგრამაში ატვირთულია: საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი "სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯ „ჰორიზონტისათვის" უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ. აღნიშნული პროექტი, პროცედურის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ იქნა შესწავლილი და ამჟამად, საბოლოო თანხმობისათვის წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის, უახლოეს სხდომაზე გასახილველად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ როგორც ვიზიტმა აჩვენა, დაწესებულება დინამიურად ვითარდება. საავტორიზაციოდ წარმოდგენილი ჰქონდათ 5 მოდულური პროგრამა - სამკერვალო წარმოება, ინფორმაციის ტექნოლოგია, თმის მომსახურება, ელექტროობა, კულინარიის ხელოვნება. ბართენდერი ხორციელდება მილევად რეჟიმში. 3 დღიანი ვიზიტის განმავლობაში შესწავლილ იქნა დოკუმენტაცია, ელექტრონული ბაზები, განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან. დაწესებულების პოტენციალი, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნამდვილად საუკეთესოა, სტუდენტების კმაყოფილება დიდია, მასწავლებლებისაც, მენეჯმენტი, ადმინისტრაცია, ბაზა, ყველაფერი საუკეთესოა. შესაბამისად შეფასება არის დადებითი, 2 ძლიერი მხარე გამოკვეთა ექსპერტთა ჯგუფმა:

1. პროფესიული სტუდენტების მოზიდვის აქტივობები, კარდაკარის პრინციპით, უხსნიან პროფესიული განათლების სიკეთეს და აგრძელებენ მუშაობას პოტენციურ სტუდენტებთან. ტესტირებასთან დაკავშირებულ პრობლემების მოხსნაშიც ეხმარებიას, ამეცადინებენ ასაკიან და ძალიან ახალგაზრდა აპლიკანტებს და ამზადებენ პროფესიული ტესტირებისთვის. ნანა ჯოლიამ დამატებით განმარტა, რომ კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდები აქვთ, ღია კარის დღეები, სიმულაციური ტესტირებები ტარდება, რითაც გაბედულები ხდებიან აპლიკანტები, საორიენტაციო ტესტებს აძლევენ, აცნობენ მასწავლებლებს, კოლეჯის გარემოს.

2. დამსაქმებლებთან ურთიერთობა, საგანმანათლებლო საკითხებზე ჩვეულებრივი თანამშრომლობის იქეთ, დამსაქმებლები კოლეჯთან ერთად ხედავენ თავიანთი განვითარების სამომავლო პერსპექტივას და ისინი თავიანთ საქმიანობას განიხილავენ კოლეჯთან მუდმივი თანამშრომლობის პროცესში.

ექსპერტები ვიზიტით იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტებზე - სასტუმრო „პარაგრაფში" და შპს „ოზურგეთი დენიმში", რომლებიც ფაქტიურად ყველა პროგრამებისთვის არიან პარტნიორები. როგორც ერთ, ისე მეორე კომპანიაში კოლეჯის ბევრი კურსდამთავრებულია უკვე დასაქმებული.

ნანა ჯოლიამ აღნიშნა, რომ შპს „ოზურგეთი დენიმ“ არის სამკერვალო საწარმო, რომელიც გურიაში განხორციელებული ყველაზე დიდი ინვესტიციით შეიქმნა, კოლეჯის მყარი პარტნიორია და საკმაოდაა დაინტერესებული კურსდამთავრებულთა ცოდნა-უნარებით.

თამარ ქიტიაშვილმა დამსწრეებს ინფორმაცია მიაწოდა ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომ რიგ სამკერვალო საწარმოებში დასაქმებულებისთვის ცუდი სამუშაო პირობები იკვეთება, მუშახელის გადინება არის ძალიან მაღალი, და კითხვა დასვა, აქაც იგივეს ხომ არ აქვს ადგილი, ამ თვალსაზრისით როგორია დასაქმების და გადინების სტატისტიკა.

ნანა ჯოლიამ განმარტა, რომ როგორც კი საწარმოში შეიცვალა ხელმძღვანელობა, კოლეჯის დირექციამ სამუშაო პირობების საკითხი დასვა მათთან და რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია, სადაზღვევო სისტემა მოწესრიგდა, არ უშვებენ უხელფასო შვებულებებში, სამუშაო გრაფიკი 4 ცვლიანი გახდა, გეგმავენ დამატებით ღონისძიებებს, რითაც კომპანიის საერთო იმიჯის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობენ. დამსაქმებლისთვის ღირებული გახდა დასაქმებულის ბედი, ამ კომპანიაში მზარეულების და ბუღალტრების, ელექტრიკოსების, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების დასაქმებაც ხდება. მალე საწარმოში 2000 ადამიანი იმუშავებს და ძირითადად კოლეჯის კურსდამთავრებულების იმედი აქვთ.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, რამდენია თვითდასაქმებულების წილი სამკერვალო წარმოების პროგრამაზე, რაზეც დირექტორმა უპასუხა, რომ ძალიან მაღალი იყო, თუმცა რაც სამკერვალო საწარმო გაიხსნა ოზურგეთში, უკვე 50 სტუდენტი დაასაქმეს. სასტუმრო „პარაგრაფში“ დასაქმებულია 50 სტუდენტი, ეს არის დასაქმების სულ სხვა დონის ფორმა, თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი, მენეჯერი დავით ყიფიანი თანამშრომლობს კოლეჯთან, კოლეჯს ეხმარება პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაშიც. პარაგრაფში ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. აქ ძირითადად სასტუმრო საქმის (საგნობრივი) და მზარეულის პროგრამების დამთავრებულები იყვნენ დასაქმებულები, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ კომპანიაში შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა, დაუდასტურეს თანამშრომლობისთვის მზაობა და ისაუბრეს სამომავლო პერსპექტივებზე.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, რატომ მხოლოდ მზარეული აქვთ წარმოდგენილი, მაშინ როცა პარტნიორს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების პროგრამებიც აინტერესებს, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პროგრამების მომზადებას და ვერ მოასწრეს მეოთხე-მეხუთე საფეხურის პროგრამების მომზადება, შემოიტანენ უახლოეს მომავალში. ინფრასტრუქტურა ფართოვდება, ახალი შენობა შენდება, სადაც განთავსდება სასტუმრო საქმის პროგრამის ინფრასტრუქტურა, სარესტორნოში ელოდებიან ინტეგრირებულ პროგრამას. რესურსმა არ შეგვიწყო ხელი, აღნიშნა ნანა ჯოლიამ, ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის აგრარული მიმართულების პროგრამები, მოკლევადიანს ვამზადებთ, კონკრეტულად მეჩაიეობის და კენკროვანი კულტურების პროგრამებს. ჰესებზე დასაქმების დიდი პერსპექტივაა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მიმართულებით რეგიონში დიდი მოთხოვნაა, მოკლევადიანის ფარგლებში გადამზადებასაც გვთხოვენ.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, არის თუ არა სოფლის მეურნეობის მიმართულებით კოლეჯის განვითარება სტრატეგიულ გეგმაში ასახული, რაზეც ეკატერინე ლუაშვილმა განმარტა, რომ ძალიან დეტალურად არ არის, მაგრამ სტრატეგიულ მიზნებში გაწერილია საკითხი მიწის ფართის გადმოცემაზე, ასევე, საუბარია ჩოხატაურში ფილიალის მშენებლობასა და აგრარული მიმართულების განვითარებაზე.

ჩოხატაურში იქნება სოფლის მეურნეობის პროგრამები, მათ შორის ჩოხატაურისთვის ვგეგმავთ ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებას საწარმო „მენასთან“ თანამშრომლობით. ასევე, ბახმაროს ზამთრის ტურიზმისათვის საჭირო კადრების მომზადდებას.

ნანა ყუფუნიამ მოუწოდა კოლეჯის ხელმძღვანელობას სასტუმროს მიმართულების სხვადასხვა პროგრამის დამატებისკენ, ვინაიდან ტურიზმს და სასტუმროებს, მისი აზრით, მაღალი გადინების გამო სჭირდებათ სხვა სპეციალისტები. რამდენადაც, რეგიონის ძირითადი დამსაქმებელია სასტუმრო "პარაგრაფი", აუცილებელია მისი და ზოგადად, დარგის ინტერესების გათვალისწინება.

თამარ ქიტიაშვილმა შეაჯამა - აშკარად ჩანს, რომ კოლეჯი ჰორიზონტი ორიენტირებულია რეგიონის საჭიროებებზე. ამ ეტაპზე წარმოადგინეს ის პროგრამები, რომლის განხორციელების გამოცდილება და შესაბამისი რესურსი ჰქონდათ, თუმცა შემდეგ ეტაპზე, რესურსების გაფართოების მიხედვით წარმოადგენენ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებსაც.

აქვე საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრს, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სექტემბრის ბოლოს გამოითხოვოს დაწესებულებისგან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტისათვის" გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ჰორიზონტისათვის“ ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 201-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები :

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ კანონის'' მე-8 მუხლის მე- 5 პუნქტის, 39-ე მუხლის 1^5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების /კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 201- ით.

ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	45	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ № 8
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	20	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ № 8
3	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	42	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ № 8
4	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	56	71	ქართული	45	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ № 8
5	კულინარიის ხელოვნება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	84	99	ქართული	42	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ № 8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბართენდერი (1)	მესამე საფეხური	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067	67	82	ქართული	7	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ N 8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 29 აგვისტო.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა ანასტასია ქიტიაშვილმა და სხდომას შემოუერთდა ლელა მაისურაძე.

3. სსიპ კოლეჯი „ლაკადას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს, კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თეანა ქუხილავას მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. მან დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - დიანა გახარია, ირმა ღარიბაშვილი, ია გიგიბერია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა გახარიამ საბჭოს გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა - 2019 წლის 3-5 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის 26 ივნისის N527 (ცვლილება ბრძანება N533. 27.06) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „ლაკადაში", ქალაქ ჯვარში, დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით, საავტორიზაციო განაცხადი მოიცავდა სამ მოდულურ პროგრამას - ელექტროობა, სამკერვალო წარმოება, ინფორმაციის ტექნოლოგია. კოლეჯი 3 განსხვავებულ პროგრამას ახორციელებს მილევად რეჟიმში. ექსპერტების მიერ წინასწარ იქნა შესწავლილი მასალები, ასევე წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაციები. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებას.
დიანა გახარიამ ხაზი გაუსვა საუკეთესო გამოცდილებას, კერძოდ, დაწესებულების მიერ გამოცხადებული მისია აქცენტს აკეთებს მეტად მნიშვნელოვან თემაზე, რომელიც გულისხმობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიწოდებას მაღალ დონეზე. აღსანიშნავია, კოლეჯის გამოცდილება ამ მიმართულებით: ოკუპირებული ტერიტორიიდან კოლეჯს ყავს 16 კურსდამთავრებული, ამჟამად სწავლობს 2 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯს აქვს ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 4 პირი აპირებს მიიღოს პროფესიული განათლება კოლეჯში „ლაკადა". პროფესიული სტუდენტების მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით, კოლეჯის შენობის მესამე სართულზე, დერეფანში განთავსებულია ე.წ. „პრობლემების ხე", სადაც სტუდენტებს ანონიმურად შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი სურვილები და მოსაზრებები, ადმინისტრაციის მხრიდან კი ხდება მათი დამუშავება და შეძლებისდაგვარად რეაგირება. მაგალითისთვის, შესაბამისი პროფილის სტუდენტების მიერ დაფიქსირდა სურვილი თეთრი ხალათების შეძენის შესახებ, ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვის საკითხი, რაც ადმინისტრაციის მიერ იქნა გათვალისწინებული.

ექსპერტთა შეფასებით, ვიზიტის დროს ერთი ხარვეზი გამოიკვეთა:

ქვესტანდარტი 1.4.

2019 წლის 14 მაისის N04/38 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-7 მუხლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 2 წელი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შედეგად ვლინდება ხარვეზი, კერძოდ: საქმისმწარმოებელმა/რეესტრის მწარმოებელმა დირექტორის მ/შ 2019 წლის 3 მაისს სამსახურებრივი ბარათით მიაწოდა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემიდან (ბაზიდან) 2014-2017 წლებში სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების შესახებ - მიღებებისა და პროგრამების მიხედვით, სულ 38 შემთხვევა. წარდგენილი ინფორმაციის ანალიზის (სტატუსის აღდგენის შესახებ მომართვა/მოუმართაობისა და შეჩერების ვადების დაანგარიშება) საფუძველზე, დირექტორის მ/შ-ის მიერ გამოიცა ბრძანება იმ 19 პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, რომელთაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ მომართვის ვადა მოცემული მომენტამდე ამოწურული ქონდათ. აღნიშნული გარემოება იწვევს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8

მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის დარღვევას სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ვადაზე გვიან სტატუსის შეწყვეტის გამო.

გაცემულ იქნა რეკომენდაციები:

- საჭიროა დაწესებულებამ გონივრულ ვადაში, სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რეგულაციები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „ლაკადას“ წესდებასთან.
- სასურველია გადაიხედოს რეგულაციები და წარმოებული დოკუმენტები ტექნიკური უზუსტობების გამორიცხვის მიზნით (ერთ საგანთან/პირთან/პროცესთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინების, დასახელებების, პოზიციების დაზუსტება/ერთგვაროვნად მოხსენება; თავების/მუხლების/პუნქტების ნუმერაცია და მათი რეფერენსირების დროს გამოყენება);
- უმჯობესია გადაიხედოს რეგულაციები წესების დაზუსტების მიზნით (ჩანაწერი გახდეს მკაფიო თუ რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება მოითხოვოს სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასება);
- მიზანშეწონილია გადაიხედოს საწარმოებთან გაფორმებული დოკუმენტები, მემორანდუმისა და ხელშეკრულების შედგენის პრინციპების გათვალისწინებით (მემორანდუმს მიეცეს მთავარ საკითხებზე ურთიერთშეთანხმების გამოხატვის სახე, ხოლო კონკრეტული ვადები და პირობები დარეგულირდეს ხელშეკრულებით; შეთანხმების საგანში ფიგურირებდეს „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის დასახელება)
- ექსპერტების აზრით, უმჯობესია კოლეჯს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულ დოკუმენტებს მიეცეს კონსოლიდირებული სახე, რეგულაციებში გადაფარვის გამორიცხვისა და სისტემაში მოყვანის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორი იყო დასამატებელი პროგრამების განხორციელების დასაბუთება, დაწესებულებამ წარუდგინათ კომისიის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც ჩანდა, რომ წინასწარ შესწავლილ იქნა დასაქმების მაჩვენებელი მონათესავე საგნობრივ პროგრამებზე და აპლიკანტთა ინტერესი და შესაბამისად შეირჩა პროგრამები. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯში მომართვიანობა 1-2-ზეა. დასაქმების მაჩვენებელი 70-80% -ია.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, სწავლობს თუ არა კოლეჯი ურთიერთკავშირს ისეთ მაჩვენებლებს შორის, როგორებიცაა მოთხოვნა პროგრამებზე, პროგრამების არჩევა და პროფესიულ სტუდენტთა გადინება, რაზეც დიანა გახარიამ უპასუხა, რომ კოლეჯს ასეთი ანალიზი აქვს.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამების შესაბამისი ა, ბ და ც გარემოები. ყურადღება გამახვილდა უსაფრთხოების დეტალებზე. ყველა რესურსი საკმარისია და ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებული. ვიზიტისას პრატიკის 5 ობიექტი იქნა ნანახი.

ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ ელექტროობის პრაქტიკის ობიექტი ძველი კომპანია იყო, შრომის უსაფრთხოების საკითხები ახლა დადგა დღის წესრიგში, ჯგუფმა კომპანიის წარმომადგენლებთან დაწვრილებით გაიარა ეს საკითხები, ინფორმაციის ტექნოლოგიის პრაქტიკის 2 ობიექტი აქვთ, ორივე ზუგდიდშია, მაგრამ კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა ტრანსპორტირებას. ბევრ სტუდენტთან შედგა ინტერვიუ, გამოიკვეთა მათი კმაყოფილება კოლეჯში სწავლით.

თეანა ქუხილავამ აღნიშნა, რომ სამკერვალო წარმოების პროგრამისთვის ამ ეტაპზე მემორანდუმი აქვთ გაფორმებული, მერე ფორმდება ხელშეკრულება, ია გიგიბერიამ დაადასტურა, რომ კომპანიას აქვს მზაობა ხანგრძლივი ხელშეკრულება გაფორმდეს.

თამარ ქიტიაშვილი დაამატა, რომ ავტორიზაციის ახალ სტანდარტებში ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მეტი მოთხოვნები გაჩნდება, ამიტომ, სასურველია დაწესებულებებმა ახლავე დაიჭირონ თადარიგი გრძელვადიანი ხელშკრულებების გაფორმებით, რაც მდგრადობის თვალსაზრისით კითხვებს არ წარმოშობს.

თეანა ქუხილავამ დაამატა, რომ სხვა პროგრამებიც იყო მოთხოვნადი, მაგ., ფილამწყობი, ზეინკალ - სანტექნიკოსი, კულინარია, მოკლევადიანი სოფლის მეურნეების პროგრამები. მაგრამ სტაბილური პარტნიორი კომპანიები ჯერ კიდევ არ არსებობენ რეგიონში, გადამამუშავებელი წარმოებები საერთოდ არ არის.

ანასტასია ქიტიაშვილი თვლის, რომ რეგიონში ეკონომიკის განვითარებისთვის სხვა პროგრამებიც უნდა დამუშავდეს .

თამარ ქიტიაშვილის რეკომენდაციაა - მეტი სანდოობისთვის, ვიზიტების დროს განხორციელდეს სტუდენტთა ინდივიდუალური ინტერვიუირება. გასაგებია, რომ შესაძლოა დროის უქონლობის გამო ექსპერტები ჯგუფური გამოკითხვის მეთოდს მიმართავენ, მაგრამ ჩვენი რეკომენდაციაა თავი ავარიდოთ ამხელა ჯგუფების გამოკითხვას, როგორც ფოტოზეა აღბეჭდილი, აღნიშნა მან. ასევე, მას მიაჩნია, რომ კოლეჯმა, სტუდენტების გამოკითხვისას ანონიმურობა უნდა დაიცვას. ჩვენი რეკომენდაციაა, თქვა მან, თუ კითხვარების შევსება მატერიალური სახით, ფურცელზე ხდება, ყუთში შეგროვდეს შევსებული კითხვარები. ამით დაიცავთ ანონიმურობას და ხელს შეუწყობთ კრიტიკული აზრის გამოთქმას.

დიანა გახარიამ აღნიშნა, რომ შიდა ხარისხის მექანიზმები მრავალფეროვანია, ეყრდნობა დემინგის ციკლს, ინახა შევსებული სხვადასხვა სახის კითხვარები, ანალიზი და ა.შ. თუმცა არ ჩანდა, რაიმე თუ გააუმჯობესეს ამ ანალიზის საფუძველზე.

თამარ ქიტიაშვილმა ხარვეზსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით მოითხოვა კოლეჯის წარმომადგენლისგან განმარტება, თეანა ქუხილავამ განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის სტატუსის შეწყვეტა მართლაც დაუგვიანდათ, მაგრამ თვითონვე აღმოაჩინეს და ექსპერტთა ვიზიტის დროს ემისის ბაზებში ყველაფერი წესრიგში იყო, თუმცა ითვალისწინებენ ექსპერტთა შეფასებას და - დამატებითი უფლებამოსილება მიანიჭეს იურისტს, რომ აწარმოოს კონტროლი და პრევენციული ზომებიც განსაზღვრეს, ასეთი ხარვეზი რომ არ დაემართოთ. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება განხორციელდა ან მიმდინარეობს.

ლელა მაისურაძე ფიქრობს, რომ რაკი პრობლემა მოგვარებულია, პრევენციული ზომებიც მიღებულია, საბჭომ უნდა გაითვალისწინოს.

გიორგი ტრაპაიძე აღნიშნავს, რომ რაკი თვითონვე გამოასწორეს დაშვებული შეცდომა, გასათვალისწინებელია, კარგია, რომ არ მალავენ შეცდომას.

ნანა ყუფუნია აღნიშნავს ექსპერტების კარგ ნამუშევარს, დაწესებულების ობიექტურ შეფასებას, სტუდენტთა სტატუსთან დაკავშირებულ პრობლემას ხარვეზად ვერ მივიჩნევთ, აცხადებს ის.

თამარ ქიტიაშვილი აკეთებს დასკვნას, რომ შეცდომა იყო ფრაგმენტული, საერთო საქმისწარმოება არ იყო დარღვეული, არასასურველი შედეგი არ დამდგარა, თუმცა მეტი ყურადღება მართებთ. კოლეჯი, როგორც ჩანს, განვითარებაზეა ორიენტირებული, ასეთ შემთხვევაში ყველა პრობლემა მოგვარდება, ექსპერტებს დიდი მადლობა კარგი მუშაობისთვის, საუკეთესო პრეზენტაციისთვის.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის“ ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 122-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები :

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე- 5 პუნქტის, 39-ე მუხლის 1^5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

1. სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 242728679) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 122- ით.
2. სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამები

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები

				სტუდენტებისათვის	სტუდენტებისათვის			
1	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	30	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	24	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2
3	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	30	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2

(1)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფილამწყობი (1)	მესამე საფეხური	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	80	95	ქართული	17	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

2	ზეინკალ-სანტექნიკოსი (1)	მესამე საფეხური	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	85	100	ქართული	8	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2
3	ექთნის თანაშემწე (1)	მესამე საფეხური	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	71	86	ქართული	13	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 29 აგვისტო.

4. ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს, კოლეჯის დირექტორს, კონსტანტინე დოლიძეს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. მან დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ლევან მადათოვი, ნინო ხაჩიძე, ინგა ბაქრაძე. ლევან მადათოვმა საბჭოს გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის N516 (ცვლილება ბრძანება №578. 08.07) ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა

დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 18-20 ივლისს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა დასკვნით ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია, გაიცა მხოლოდ რეკომენდაციები. კოლეჯი მდებარეობს ქალაქ თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1-ში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილებას: კოლეჯის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორებია: თელავის მუნიციპალიტეტის მერია, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი, დამსაქმებელთა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებები, ასევე კოლეჯის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ურთიერთანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან: • გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახის თვითმმართველობა და პროფესიული კოლეჯი „KARL ARNOLD SCHULLE" • ლიტვის რესპუბლიკის ქალაქ იონავას პროფესიული სკოლა; • ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ ტალსის თვითმმართველობა; • HEKS/EPER (შვეიცარია) სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის პროექტი MOLI კახეთში; • GIZ გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება • UNDP გაეროს განვითარების პროგრამა; • ევროკავშირის პროგრამა Erasmus + თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულია არაერთი აქტივობა, რომელიც მოიცავს მათ შორის პერსონალის გადამზადებას, პერსონალის და სტუდენტების გაცვლას ასევე მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას. აღსანიშნავია კოლეჯსა და ევროკავშირის პროექტ Erasmus + ფარგლებში გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება ახალგაზრდული სექტორის ფარგლებში (საგრანტო პროგრამა „ჯანსაღი ცხოვრება - უკეთესი ცხოვრება 01.08.2018-31.12.2018 2018-2-PL01-KA105-051373), პროექტის ფარგლებში კოლეჯის სტუდენტმა ინდივიდუალური მობილობის ფარგლებში მიიღო მონაწილეობა პოლონეთში დაგეგმილ ვორქშოპსა და მასტერკლასში.

რეკომენდაციები:

- საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისი საერთო ფართი.
- მიზანშეწონილია განახლდეს დაწესებულების ვებგვერდი კოლეჯის მისიისა და ხედვის შესაბამისად. მიუხედავად საიტზე განთავსებული სტანდარტებით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციისა, მარკეტინგული თვალსაზრისით ვებგვერდი საკმაოდ არააღქმადია და ნათლად არ ასახავს კოლეჯში მიმდინარე დადებით პროცესებს. რთულია დოკუმენტების მოძიების პროცესი. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდის განახლება გათვალისწინებულია კოლეჯის 2019 წლის სამოქმედო გეგმაში, განახლების საჭიროება დაადასტურა კოლეჯის ადმინისტრაციამაც ინტერვიუს დროს.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ 2 მოდულური პროგრამა აქვს დაწესებულებას საავტორიზაციოდ წარმოდგენილი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, საოფისე საქმე, საგნობრივი პროგრამები დასრულდება 25 აგვისტომდე. კოლეჯში იგეგმება ინფრასტრუქტურის სრული განახლება, თანხა ჩარიცხულია, ხელშეკრულება გაფორმებული, რეაბილიტაცია დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

კონსტანტინე დოლიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯს დიდი ხნის განმავლობაში ფართთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, ამიტომ მოდულური პროგრამები ვერ დაიმატეს, რაკი ინფრასტრუქტურა არ აქვთ გამართული, სხვა პროგრამები ამ ეტაპზე ვერ დაიმატეს , თუმცა მომავალ კვირაში უკვე დაიწყება

რეაბილიტაცია და მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გაზაფხულისთვის უკვე იქნებ აავალი პროგრამების დამატების შესაძლებლობა, განაცხადა მან. სამშენებლო, ვეტერინარია, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა - ამ მიმართულების პროგრამების დამატებას გეგმავენ.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, ანალოგიური საგნობრივი პროგრამების ფარგლებში თუ ჰქონდათ დასაქმების კვლევა განხორციელებული, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ მუდმივად იკვლევენ, ამ 2 სპეციალობაზე, რომლებიც მოთხოვნადია, დასაქმებულია 72% - საოფისეზე, ინფორმაციულზე - მეტი. საოფისე საქმის კურსდამთავრებულები საქმდებიან სახელმწიფო ორგანიზაციებში, ბევრი მოქმედი დასაქმებულიც გადის პროგრამას, კერძო სექტორშიც ბევრი საქმდება, ღვინის ქარხნებში, მოკლევადიანი საოფისე პროგრამით ღვინის ქარხნის თანამშრომლები გადამზადდნენ.

გიორგი ტრაპაიძე დაინტერესდა, ერთად ითვლიან თუ ცალ-ცალკე დასაქმებულებს საკვალიფიკაციო პროგრამებზე და მოკლევადიანზე , რაზეც მიიღო პასუხი, რომ ცალ-ცალკე ითვლიან.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა ხარისხის შიდა მექანიზმების გამართულობით.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ კარგად გამართული შიდა მექანიზმები აქვთ, კითხვარების ანალიზს აკეთებენ, მუდმივან თანამშრომლობენ დასაქბევის სექტორთან. აქამდე არ განუხორციელებიათ მოდულური პროგრამები, თუმცა კარგად იყვნენ მომზადებულები, მასწავლებლებთან გასაუბრებითაც გამოიკვეთა, რომ ისინი ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, მასწავლებლები დატრენინგებული იყვნენ.

ნაირა ჭინჭარაშვილი დაამატა, რომ მასწავლებლის სახლის ტრენინგებში მონაწილეობდნენ, ხარისხის ცენტრის ტრენინგების შემდეგ პირადად ატარებდა თანამშრომლებთან ტრენინგებს. გერმანული მხარეც ეხმარებათ მასწავლებელთა ტრენინგებში, სენიორ ექსპერტებიც ჩამოდიან.

თამარ ქიტიაშვილმა შეაჯამა, რომ კოლეჯისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეფერხდა კოლეჯის ფუნქციონირება, ეხლა მოგვარებულია ქონებრივი საკითხი, რეაბილიტაციაც იწყება, პარტნიორი დონორებიც მხარს უჭერენ კოლეჯის განვითარებას, მათ შორის, თელავის დაძმობილებული ქალაქი ბიბერახი. კოლეჯის განვითარების შემაფერხებელი მიზეზი აღარ არსებობს, რაც ზრდის მის პასუხისმგებლობას და დიდი იმედი გვაქვს, რომ სამომავლოდ ბევრ ახალ პროგრამას, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროგრამებს განახორციელებთ - მიმართა მან კოლეჯის წარმომადგენლებს. .

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „პრესტიჟისათვის“ ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები :

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 231287005) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით.

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	30	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
2	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	30	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 29 აგვისტო.

5. შპს კეონი აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს, კოლეჯის დირექტორს, თამარ მერაბიშვილს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. მან დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ქეთევან ჯანელიძე, ქეთევან გელაშვილი, თეა მაისურაძე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ჯანელიძემ საბჭოს გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის N502 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 10-12 ივლისს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა დასკვნით ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია, გაიცა მხოლოდ რეკომენდაციები. კოლეჯი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქავთარაძის ქ. №20 დ-ში.

რეკომენდაციები:

- დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგზე დატანილ იქნას წელი.

- დაზუსტდეს „სასწავლო პროცესის მართვის წესის“ მე-14 მუხლის სათაური შინაარსის შესაბამისად.
- სასურველია ელექტრონული წიგნების თითო ეგზემპლარი დაცული იყოს ბიბლიოთეკაში ამობეჭდილი სახით.

ქეთევან ჯანელიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შპს „კეონი აკადემია“ შეიქმნა 2018 წელს პროფესიონალური საერთაშორისო ბრენდების - „KEUNE Haircosmetics“ და „ LCN“ -ოფიციალური წარმომადგენლობის ურთიერთობის შედეგად, კოლეჯი ეხლა შემოდის სისტემაში და ექსპერტთა ჯგუფმა მხოლოდ სასტარტო მდგომარეობა შეაფასა, რაც ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. იშვიათია ასეთი მოწესრიგებული გარემო, აღნიშნა მან, მატერიალური ბაზა ყოველგვარი სტანდარტის დაცვით (პანდუსი, ვენტილაცია-გათბობა, უსაფრთხოება, ამკრძალავი ნიშნები), ადმინისტრაცია მესამე სართულზეა, შენობას ფართო ლიფტი აქვს, მარეგულირებელი დოკუმენტები ყველაფერი სწორად და გამართულად იყო მომზადებული. მასწავლებლებს, 2018 წლის, კოლეჯის დაფუძნების შემდეგ ბევრი ტრენინგი ჰქონდათ გავლილი, სხვა კოლეჯებში გამოცდილების მქონე მასწავლებლებიც ჰყავთ მოწვეულები, საწარმოო პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან შპს „Beauty Life“-ს ორ სალონში (მისამართი: თამარაშვილის ქ. 4ა და ალ. ყაზბეგის გამზ. 11), ექსპერტებმა ორივე სალონი მოინახულეს, ორივე პროგრამის - თმისა მომსახურება, ფრჩხილის მომსახურება - განხორციელების შესაძლებლობა შეაფასეს. გულდასმით გაეცნენ პროგრამების განხორციელების მიზანშწონილობის დასაბუთებას, განხორციელებულ კვლევებსა და გამოკითხვებს. კოლეჯი აქამდე ახორციელება მოკლევადიან პროგრამებს, სპეციალისტების მომზადების დიდი გამოცდილება აქვთ. სასწავლო კოლეჯს უკვე აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს მოემსახურება. ამ მიმართულებით მოდულური პროგრამები არცერთ კოლეჯს არა აქვს, ფრჩხილის მომსახურება საერთოდ არავის არა აქვს, აქვთ არაჩვეულებრივი სიმულაციური გარემო როგორც თმის, ასევე ფრჩხილის მომსახურებისთვის. სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, მასალსაცავი. სამედიცინო ოთახი. მესამე სართულზეა ადმინისტრაცია განთავსებული, სადაც 10 თანამშრომელია.

თამარ მერაბიშვილმა დაამატა, რომ მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში არსებობს კეონის კოლეჯები, ბრენდი შეიქმნა 1922 წელს ქიმიკოს კეონის მიერ, ამ ბრენდის პოლიტიკაა ეკოლოგიური უსაფრთხოება, მოკლევადიანი კურსი ვერ ფარავს მთლიან ფილოსოფიასა და ღირებულებების ათვისებას, ამდენად საკვალიფიკაციო პროგრამებზე ავიღეთ ორიენტირი. კვლევას პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ, აღნიშნა მან, კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა, შეგირდობის იქეთ არსებობს თუ არა მოთხოვნა კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ზოგადად, ამ სფეროდან თანამშრომლების გადინება მაღალია, რაკი რესურსი გვქონდა და სახელმწიფოც იძლევა საშუალებას ავტორიზებული სასწავლებელი არსებობდეს, გადავწყვიტეთ მოვამზადოთ კვალიფიციური კადრები , რომლებსაც ჰიგიენის და მომსახურების სტანდარტები მაღალ დონეზე ეცოდინებათ, ასევე შეისწავლიან უცხოურ ენას და ჩვენი კურსდამთავრებულები სხვადასხვა სალონებში დასაქმდებიან.

ია გიგიბერიამ ხაზი გაუსვა, რომ დაეყრდნენ ასევე დაავადებათა კონტროლის ცენტრის კვლევას, რომელიც ამ სფეროში ჰიგიენის დაცვისა და დაავადებების გავრცელების საკითხებს იკვლევდა. წელიწადში ორჯერ საერთაშორისო ტრენინგები ტარდება, რომელშიც ქართველი მასწავლებლებიც იღებენ მონაწილეობას.

ნანა ყუფუნია, დაინტერესდა ახალი კადრის მომზადებას აპირებენ, თუ თავის კადრს გადაამზადებენ, ასევე საინტერესოა, როგორ მოხდა მასწავლებლების შერჩევა.

ია გიგიბერიამ განმარტა, რომ ზოგადი მოდულების მასწავლებლები შეარჩიეს კონკურსით, დარგობრივ სპეციალისტებს მინიმუმ 7 წლიანი გამოცდილება აქვთ, ჩაუტარდათ ტრენინგი, გარდა ამისა ყველას ჰყავდა შეგირდები. მათი გამოცდილების მისადაგება მოხდა მოდულური სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან. გააზრებული აქვთ ის პასუხისმგებლობა, რაც კვალიფიკაციის მინიჭებასთან არის დაკავშირებული.

თამარ ქიტიაშვილმა შეაჯამა - როცა დაწესებულება თავიდან იწყებს ფუნქციონირებას, უნდა შევხედოთ მის მზაობას, მატერიალურ, ადამიანურ რესურსს, რაც ნამდვილად საუკეთესოა, თუმცა, საგანმანათლებლო სივრცეში შემოსვლა ადვილია, მაგრამ ამ სივრცეში ოპერირება, მით უმეტეს ახალი სტანდარტის პირობებში დიდ გამოწვევასთანაა დაკავშირებული. ასეთი სტარტის შემდეგ მოლოდინი მეტია, ამიტომ მომავალში დიდი ყურადღებით მივადევნებთ თვალს თქვენს საქმიანობას, აღნიშნა მან.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კეონი აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები :

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

შპს კეონი აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 405306119) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80- ით.
შპს კეონი აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფრჩხილის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	50	65	ქართული	40	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №20 დ
2	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	40	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №20 დ

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებ-გვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. **შპს ინტერბიზნესის აკადემიის, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვის“, ინფორმაციის ტექნოლოგიის“ და „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების დირექტორს, ინგა მანაშერიძეს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება

არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ირინე ფხაკაძე, თამარ ნასყიდაშვილი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ირინე ფხაკაძემ საბჭოს გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 ივნისის N526 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2019 წლის 9 და 10 ივლისს განახორციელა ვიზიტი შპს ინტერბიზნესის აკადემიში, ქალაქ თბილისში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ბუღალტრული აღრიცხვა", ინფორმაციის ტექნოლოგია" და „ფარმაცია (სააფთიაქო)" ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 და 2018 წლის 7 დეკემბრის №183 გადაწყვეტილებებით მიენიჭა მოცემული პროგრამების განხორციელების უფლება. დაწესებულებამ გააკეთა ცენტრში შესაბამისი განაცხადი, რომ გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ცვლილებას. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდოს 24-დან 32-მდე, , ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე - 12-დან 16-მდე, ხოლო ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 100-დან გაიზარდოს 150-მდე. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ შეფასდა გაზრდილი/გაუმჯობესებული მატერიალური და ადამიანური რესურსი, რაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას მისცემდა კოლეჯს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილებას: შპს ინტერბიზნესის აკადემიას საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით წარმატებული საქმიანობით იგი ხელს უწყობს საზოგადოებაში პროფესიული განათლების ცნობადობის ამაღლებას. 2016 წელს აკადემიას მიენიჭა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სამსახურის სააგენტოს საუკეთესო პარტნიორის ტიტული „განსაკუთრებული თანამშრომლობის და დასაქმების ხელშეწყობისათვის გაწეული ღვაწლისათვის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის". აკადემია პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან, შპს „პსპ ფარმა"-სთან მრავალწლიანი თანამშრომლობა მოიცავს ფარმაციის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობასაც

ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

გაიცა მხოლოდ რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.1

- დაწესებულების დებულებათა კრებულის (დამტკ. შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2017წ. 9 ნოემბრის ბრძ. N01-44; ცვლილება 2018წ.1.10. ბრძ. N01-44) 8.4.7 პუნქტის თანახმად, აკადემიის დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროგრამების კურსებს/მოდულებს ხარისხის სამსახურის წარდგინებით, თუმცა აკადემიის სტრუქტურის თანახმად (დამტკ. დირექტორის 2017წ. 9 ნოემბრის ბრძ. N01-44) აკადემიის დირექტორს ექვემდებარება ხარისხის მართვის მენეჯერი და არა ხარისხის სამსახური. რეკომენდირებულია აღნიშნული დოკუმენტები იყოს თანხვედრაში, პროფესიული პროგრამის დამტკიცების პროცედურის ნათლად ფორმულირებისთვის აკადემიის დებულებათა კრებულის 8.4.7 მუხლი შესაბამისობაში მოვიდეს შპს ინტერბიზნესის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის 2.6 მუხლთან და აკადემიის სტრუქტურასთან.

ქვესტანდარტი 2.5

- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, სტუდენტების შესახებ საქმის წარმოების გამარტივების მიზნით, შიდა მარეგულირებელ აქტებსა და სტუდენტების სტატუსების ამსახველ ბრძანებებში გარკვეული ფორმით მითითებული იყოს სტუდენტის პირადი ნომერი, პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოების და დაცვის ელემენტების გათვალისწინებით, მაგალითისთვის შესაძლებელია დაფიქსირდეს პირადი ნომრის პირველი ხუთი და ბოლო სამი ციფრი (xxxxx…xxx). დანართი №2
- დაზუსტდეს დაწესებულების რეესტრში პროფესიული პროგრამის სადაზღვევო აგენტის 3 კურსდამთავრებულის სტატუსი, რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი ბრძანებით.

3.1. ქვესტანდარტი

- დებულებათა კრებული და აკადემიის სტრუქტურა მოვიდეს თავსებადობაში,
- აკადემიის პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, პოზიციების დასახელებები შესაბამისობაში მოვიდეს ორგანიზაციის სტრუქტურაში არსებულ პოზიციებთან;

დაწესებულების დირექტორმა ინგა მანაშერიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები გათვალისწინებული და გამოსწორებულია. ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულება დაწყებულია და დასრულდება სექტემბერში. სტუდენტების ბაზაში ასახვის საკითხიც გასწორდა, მან დეტალურად აღწერა ის ნაბიჯები, რაც დაწესებულებამ განახორციელა განაცხადის შემოტანამდე. ზღვრული რაოდენობის გაზრდამდე 2 პროგრამაზე შეიმცირეს სტუდენტთა რაოდენობა, გააუქმეს 1 პროგრამა, რამაც მისცათ მთლიანობაში 112 ადგილი, გარდა ამისა თანმიმდევრულად განახორციელეს სარემონტო სამუშაოები, შეცვლილია ა,ბ, და ც გარემოების რაოდენობა, ყველა წვრილმანი დეტალიც კი გათვალისწინებული და შემენილია, რაც მოემსახურება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას. ექსპერტები დაეთანხმნენ და აღნიშნეს, რომ დაწესებულება ჯეროვნად იყო მომზადებული ვიზიტისთვის.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, აუდიტორიების გადაფარვები ხომ არ არის, ცვლებში ხომ არ განახორციელებენ პროგრამებს, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ერთ ცვლაში ფარმაციის პროგრამისთვის ზუსტად 150 ადგილია, ასეა სხვა პროგრამებზეც. დაიწყო დასაქმების ეტაპი და გვყავს უამრავი კმაყოფილი ადამიანი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბიზნესთან გაზრდილი თანამშრომლობა, 2022 წელს 75%-იანი დასაქმების მაჩვენებელი ექნება კოლეჯს, აღნიშნა მან.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისათვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვის“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ და „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881), შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 32 -ით და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 16 -ით.

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	32	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის	60	75	ქართული	16	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

			ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612					

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. შპს ინტერბიზნესის აკადემიას (ს/კ201990881), შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №183 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული „ფარმაციის (სააფთიაქო)" საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 150 -ით.

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების ათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე / საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352	120	150	ქართული	150	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

3. შპს ინტერბიზნესის აკადემიას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 427- ით.

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებ-გვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. სსიპ კოლეჯი „ თეთნულდის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. მათ დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ რემიშვილი, მარინე გვრიტიშვილი. ჯგუფი თავმჯდომარემ თამარ რემიშვილმა საბჭოს გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 ივლისის N562 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 22-24 ივლისს, მესტიაში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით. კოლეჯი მდებარეობს ქალაქ მესტიაში, ე. ფარჯიანის ქ.№25-ში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გამოვლიდა ხარვეზები:

ქვესტანდსარტი 1.1.

• პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზანი: “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც

ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სასტუმრო, სარესტორნო მომსახურების, საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტებსა და კონდიტერს", რომელიც წარმოადგენს ჩარჩოდოკუმენტის სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering მიზანს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება"(მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/ Secondary Vocational Qualification in Hotel Service) მიზანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ჩარჩო დოკუმენტის მიზანი, რომელიც ოთხი კვალიფიკაციისთვის არის ვალიდური.

• პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია: „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/ Secondary Vocational Qualification in Hotel Service". პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობა „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია" , რაც ეწინააღმდეგება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობას, საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის ჩარჩო-დოკუმენტით სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering განსაზღვრულ დაშვების წინაპირობას: „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სრული ზოგადი განათლება".

გაიცა რეკომენდაციები:
ქვესტანდარტი 1.1
• რეკომენდირებულია პროგრამებს ჰყავდეთ პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩაერთვებიან პროგრამების შემუშავებაში/ადაპტირებაში;
• სასურველია დაწესებულებამ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები სხვა პროფესიულ მასწავლებლებთანაც, რომ არ დადგეს საფრთხის ქვეშ პროგრამების მდგრადობის საკითხი(წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიულ მასწავლებელთან)
• „ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის" თანახმად, სასწავლო გეგმა ყველა პროგრამისთვის უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა, ან ცვლილება შევიდეს წესში და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმასთან;
• მოდულში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში", ან შევიდეს ცვლილება წესში რომ შესაბამისობაში მოვიდეს მოდულებთან;
• მოხდეს მოდულების ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში;
• სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი"
• ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის" სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა(დამოუკიდებელი საათების

ჩათვლით) შესაბამისაბაში მოვიდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“;

ქვესტანდარტი 2.3

- გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში.

ქვესტანდარტი 2.9

• კოლეჯი „თეთნულდის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის საჭირო რესურსი;

• სამოქმედო გეგმების შესრულების ანგრიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე;

ქვესტანდარტი 3.3

• წარმოდგენილი პროგრამებისთვის საჭირო ყველა პროფესიულ მასწავლებელებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იყოს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც, ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნას ჩანაწერი „განკარგულება“, ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი; შრომითი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მოხდს ტექნიკური უზუსტობის გასწორება, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის საფუძვლად არ უნდა იყოს მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედება კოლეჯის ადამიანურ რესურსზე არ ვრცელდება;

• შრომით ხელშეკრულებაში მიეთითოს პროგრამის/მოდულის დასახელება;

• შრომით ხელშეკრულებებში/დანიშვნის აქტებში „მასწავლებლის“ და/ან „პედაგოგის“ ნაცვლად ჩაიწეროს „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.

• სასურველია ხელშეკრულებებში მიეთითოს სამუშაოს შესრულების ადგილი. თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაწესებულების „შინაგანაწესი“, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი.

თამარ რემიშვილმა დაამატა, რომ ვიზიტი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, კოლეჯს საავტორიზაციოდ წარმოდგენილი ჰქონდა 4 მოდულური პროგრამა - სასტუმრო მომსახურება, ინფორმაციის ტექნოლოგია, ბუღალტრული აღრიცხვა, ელექტროობა, 3 პროგრამა ხორციელდება მილევად რეჟიმში, წლის ბოლოს მთავრდება. პროგრამების განხორციელება ერთმანეთს ხელს არ უშლის. ყველა პროგრამისთვის არის ა და ბ გარემო, ასევე ც გარემო სასტუმრო მომსახურების პროგრამისთვის ელექტროობისთვის. ძალიან მოწესრიგებული ინფრასტრუქტურაა. 205 კურსდამთავრებულია დასაქმებული, თუმცა ყველა არა იმავე სპეციალობით, რომელზე სწავლობდნენ. ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამას მეტ შემთხვევაში სკოლის მისწავლეები ეუფლებიან და უფრო მეტად უნარების განვითარებისთვის იყენებენ და თვითდასაქმებისთვის. ელექტროობის პროგრამის სტუდენტები სწავლის პერიოდშიც საქმდებიან. ექსპერტები თვლიან, რომ ინსტიტუციურად დაწესებულება მზად იყო ავტორიზაციისთვის, თუმცა ხარვეზი და რეკომენდაციები გამოიკვეთა.

ნანული ხვისტანმა საბჭოს მოახსენა, რომ როგორც ხარვეზების, ასევე რეკომენდაციების გამოსწორება კოლეჯმა მაშინვე დაიწყო და აცნობა ცენტრს. ძირითადად ტექნიკური შეცდომები იყო, რაც სამწუხაროს, ხშირად ემართებათ. რაც შეეხება საავტორიზაციოდ პროგრამების შერჩევას, ძირითადად დასაქმების

მაჩვენებლებს დაეყრდნენ, ელექტროობისა და ტურიზმის განხრით ყველა თავისი სპეციალობით საქმდება, ამიტომ შეირჩა პირველ რიგში ეს პროგრამები, განაცხადა მან. ასევე თვითდასაქმების მიზნით სჭირდებათ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობა, თუმცა დამსაქმებლები ხელშეკრულებებს არ უფორმებენ, ეს პრობლემაა დასაქმებულთა აღრიცხვიანობის თვალსაზრისით. გრძელვადიანი პროგრამები საბაზო და საშუალო სკოლადამთავრებულებისთვისაა საინტერესო, მოკლევადიანი კი დასაქმებულებისთვის იქნება მიმზიდველი.

თეონა ჯაფარიძემ დამატა, რომ საგნობრივი მიღება - განთავსების სპეციალისტის პროგრამის საპირწონედ აიღეს სასტუმრო მომსახურების პროგრამა, დურგლის საპირწონედ აპირებენ საგაზაფხულოდ ხის მხატვრული დამუშავების პროგრამის დამატებას, ეხლა ვერ მოასწარეს ინფრასტრუქტურის შევსება.

თამარ ქიტიაშვილმა გაიხსენა, რომ ამ კოლეჯში ხშირია ტიპიური ტექნიკური ხარვეზები, კოლეჯმა უნდა იზრუნოს პრევენციის მექანიზმებზე, 4 თვალის პრინციპი დანერგეთ, ერთმანეთის გადამოწმების მექანიზმები, ურჩია მან. მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია მოახდინეთ. გამოჩნდეს, რომ თქვენ ამ ტექნიკური შეცდომების გამოსწორებას ცდილობთ. პირდაპირ მოვთხოვოთ, რომ შემდეგ ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმოს და საბჭოს წარმოუდგინოს მტკიცებულება, რომ რაიმე ღონისძიებები განახორციელა კოლეჯმა შეცდომების თავიდან ასაცილებლად, შესთავაზა საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს. ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკის ობიექტებთან ხელშკრულებების და არა მემორანდუმების გაფორმება, ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მიხედვით ეს საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და ახლავე უნდა დაიწყოთ მომზადება.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არის უზუსტობა, კერძოდ, სასტუმრო მომსახურების და ბუღალტრული აღრიცხვის მეოთხე და მეხუთე დონის პროგრამებში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების რაოდენობა არასწორადაა მითითებული, ვთხოვთ საბჭოს, აღნიშნა მან, გაითვალისწინოს და დაგვრთოს ნება, გადაწყვეტილებაში სწორად ავსახოთ, რაზეც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

თამარ ქიტიაშვლმა და ნანა ყუფუნიამ შეაჯამეს, რომ დაწესებულებას ძალისხმევა სჭირდება კოლეჯის ადმინისტრაციული საქმიანობის გასაუმჯობესებლად და იმედია, კოლეჯი გაცემულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს, რადგან მაღალმთიან მესტიაში კოლეჯის ფუნქციონირებას ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, საბჭოს წევრების ჩათვლით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისათვის" ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 103 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები :

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე- 5 პუნქტის, 39-ე მუხლის 1^1 და 1^5 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „თეთნულდს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 235891512) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 103- ით.
სსიპ კოლეჯ „თეთნულდს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სასტუმრო მომსახურება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 1013	80	110	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

3	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
4	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	20	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მიღება-განთავსების სპეციალისტი (1)	მესამე საფეხური	მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის	79	94	ქართული	7	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

			პროფესიული კვალიფიკაცია 112065					
2	ბუღალტერ-ტექნიკოსი(1)	მესამე საფეხური	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020155	62	77	ქართული	7	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

(1)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გიდი	მესამე საფეხური	გიდი (გეოტურიზმის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112051	60	ქართული	9	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 29 აგვისტო.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 21:20 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

სხდომის მდივანი
ნანა ყუფუნია